პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაფასება
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური შემდეგი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 201 ოთხშაბათი, 2 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 2 ნოემბერი, 1921 წ. № 201

2 ნოემბერი

ოთხშაბათი

1919. გამოქვეყნდა კომ. ინტერნაციონალის მოწოდება, რომელიც აღნიშნავს რუსეთის პროლეტარიატის 2 წლის ომის სიმძიმეს და მოუწოდებს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის დღეს პროტესტი განაცხადოს საბჭოთა რუსეთის ბლოკადის წინააღმდეგ.

დღიური

გერმანიიდან მოვიდა პირველი გემი 250 000 ფუთი ფქვილით; ამ დღეებში მოელიან ამერიკიდან ფქვილით დატვირთულ გემს.

საბჭოთა რუსეთისა და რუმინიის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ვარშავაში წარმატებით მიმდინარეობს, მიღწეულია შეთანხმება.

გამთიშველი ძალა

საშინელ მშობიარობის ტკივილებში იშვა პირველი სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკის სახით. მუწყრელი ტანჯვა-წვალებით და დაუსრულებელი ბრძოლით აღბეჭდილია მისი ოთხი წლის არსებობა. ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური ზღვის ტალღები განუწყვეტლივ ეხეთქებიან რუსეთის მუშების და გლეხების დიქტატურის კუნძულს. ბურჟუაზიულმა სტიქიამ ვერ წალეკა და ვერც დაიმორჩილა ეს კუნძული, მაგრამ საგრძნობლად დააზიანა. მოსწყვიტა დანარჩენ ქვეყნიერებას, დასწყვიტა მისი ურთიერთობის ეკონომიური ძაფები, დაკნობის გზაზე დააყენა მისი წარმოების ფესვები.

სოციალისტური რევოლუცია საერთაშორისო უნდა იყოს, რათა სრული გამარჯვებით დაბოლოვდეს. მსოფლიო რევოლუციამ დაიგვიანა, ის დუღდება, მისი ნაპერწკლებით მოფენილია დღეს მთელი კაპიტალისტური ქვეყნიერება, მაგრამ მოისხანებლად ჯერ არ ავარდნილა მსოფლიო მასშტაბით. რევოლუციის მომწიფება, მისი განვითარება ლარივით სწორი გზით არ სწარმოებს, შეჩერება, მიხვეულ-მოხვეული ზიგზაგების გაკეთება, უკუქცევა ახალ შეტევისათვის ახასიათებს მის წინსვლას, მის ძლიერ მოქმედებას. ასეთ პირობებში პირველი სოციალისტური რესპუბლიკის და მისი მამოძრავებელი კლასის ისტორიული მოვალეობაა ყველა საშუალებას მიმართოს, ყოველნაირი შესაძლებლობა სცადოს, რათა მშრომელთა დიქტატურის პირველი ჩირაღდანი არ ჩაქრეს, რათა პოლიტიკური ძალა-უფლება, საბჭოთა ხელისუფლება არ დაიმხოს იმ დრომდე, როცა სოციალისტური რევოლუციის გრგვინვა გაისმება მთელს კაპიტალისტურ ქვეყნიერებაში თუ არა, რამდენიმე დაწინაურებულ ქვეყანაში მაინც.

რაც დაიწყო ჩამორჩენილმა რუსეთმა, მას განაგრძობს პროლეტარული რევოლუცია გერმანიაში და დაამთავრებს საუკეთესოთ საბჭოთა გადატრიალება ინგლისში და ამერიკაში.

ეს მთავარი დებულება უდევს სარჩულად საბჭოთა რუსეთის მმართველ პარტიის ტაქტიკას რევოლუციონურ ბრძოლაში. ბრძოლაში გამარჯვებას დამარცხება სდევს და დამარცხებას გამარჯვება. საბოლოო გამარჯვება თუ დამარცხება—აი რისაგან უნდა გამოდიოდეს მებრძოლი, რას უნდა უფარდებდეს ყოველ თავის ნაბიჯს, ყოველ ხელის გაქნევას.

იმპერიალისტურმა ომმა და შემთანხმებელთა 8 თვის ბატონობამ რუსეთის ეკონომიური სიძლიერე დაჰსცა. გაალმასებულ სამოქალაქო ომმა და მსოფლიო იმპერიალიზმის შემოსევამ საბჭოთა რუსეთის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დასცა. ამა წლის მოუსავლობამ და შიმშილობამ ვოლგის განაპირა გუბერნიებში უკიდურესათ გაამწვავა კრიზისი. საბჭოთა რუსეთმა უნდა აღადგინოს მსხვილი მრეწველობა, მოაადორნიეროს სოფლის მეურნეობა, უნდა გამოკვებოს ათი გუბერნიის დამშეულნი. ამისათვის აუცილებლად საჭიროა სისხლიანი ფრონტების მოშლა და ყველა ძალების უსისხლო, სამეურნეო ფრონტზე ერთბაშათ გადაყვანა. 1918 წლიდან მოყოლებული საბჭოთა რუსეთი ცდილობს ასეთი გადაჯგუფების მოხდენას, მაგრამ გამძვინვარებული მსოფლიო იმპერიალიზმი ამის საშუალებას უსპობს, ვინაიდან იცის, რომ ეკონომიურათ აღორძინებული საბჭოთა რუსეთი უძლეველი იქნება.

საბჭოთა რესპუბლიკა მოწადინებულია მთელი თავისი ენერგია მიაშველოს დამშეულ მუშებს და გლეხებს—ანტანტის გასისხლიანებული კულტუროსანნი უსისინებენ ბურჟუაზიულ პოლონეთს და რუმინიას დამშეულ ქვეყანაზე თავდასასხმელათ, თითქოს ემზადებიან საომრათ. რუსეთთან ომი აშინია როგორც დიდს ისე მცირე ანტანტას, მაგრამ სამზადისში მაინც არიან. „ძველი ვალები დაგვიბრუნეთ“—გაიძახის ევროპის კაპიტალისტების ხროვა.

რუსეთმა კონცესიების ძვალი გადუგდო, მაგრამ მილიარდების დამკარგველების მადა ვერ დააკმაყოფილა, თუმც ერთმანეთს გადაჰკიდა და ერთმანეთს სამტროთ დაუპირდაპირა.

ბრიუსელის კონფერენციაზე დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სისრულეში მოიყვანეს თავიანთი ჯოჯოხეთური განზრახვა და საბჭოთა რუსეთს პირობა წაუყენეს: კრედიტით დახმარებით შიმშილობასთან ბრძოლის მოსაწყობათ, თუ ძველი მთავრობის ვალებს იცნობ სავალდებულოთ. დამშეულ მუშებს და გლეხებს მეფის ვალებს სთხოვენ კრედიტის საფასურათ—ასეთია „განათლებული“ ბურჟუაზიული ევროპა-ამერიკის სახელგანთქმული მორალი.

საბჭოთა მთავრობამ, ჩიჩერინის ნოტაში ამხილა რა მთელი კაცობრიობის წინაშე კულტუროსან ბარბაროსების ზნეობა, რომელიც ბორკილების ხარჯების ანაზღაურებას ავალებს განთავისუფლებულ და ახლა დამშეულ მუშებს და გლეხებს, სანატრელი ძვალი გადუგდო გარშემოსეულ მგლებს: 1914 წლამდის აღებულ ვალების გადახდას ვკისრულობ, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ჩამოვარდეს მტკიცე ზავი და მშვიდობიანობა, აღდგენილ იქნეს საბჭოთა რუსეთსა და ყველა დანარჩენ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობა ეკონომიური და პოლიტიკური და რუსეთს მიეცეს საჭირო სესხი.

არის თუ არა მიზანშეწონილი ეს გადაწყვეტილება? რასაკვირველია არის. ჯერ კიდევ 1918 წ. ამხ. ლენინმა სიტყვა ჩამოუგდო ძველი ვალების გადახდაზე ამერიკელ ბულლიტს, მაგრამ ყველაზე უფრო გააფთოდა ამის გამო ყველაზე უფრო წაგებული, რუსეთის მევახშე, საფრანგეთის ბურჟუაზია. შეიძლება დღესაც მის ყურს არ მოხვდეს საბჭოთა მთავრობის წინადადება, დღესაც ბრაზმორევით განაცხადოს: ვიცი ლენინის დაპირების ფასი, ვიცი მისი პატივისცემა ბურჟუაზიული საკუთრებისადმიო!

როგორც არ უნდა იყოს, საბჭოთა მთავრობის დადგენილება თუ მიღებულ იქნა ანტანტის მიერ, სასარგებლო იქნება არა მარტო რუსეთის მევალეებისათვის, არამედ თვით საბჭოთა რუსეთისათვის. დაუყონებლივი ეკონომიური კავშირის აღდგენა ევროპა-ამერიკასთან, მათი ტექნიკის, მათი საქონლის გამოყენება გაუადვილებს რუსეთს სამეურნეო კრიზისის დაძლევას და აყვავებას მსხვილი მრეწველობისას, რომელიც პროლეტარული დიქტატურის საფუძველია.

არ მიიღებს ანტანტა საბჭოთა მთავრობის წინადადებას, სარგებლობა ახალი ფაქტიური ნაბიჯის მაინც დიდი იქნება მუშურ-გლეხურ რუსეთისათვის. ანტანტის სახელმწიფოებ შორის კიდევ უფრო გაძლიერდება რღვევა და გათიშვა, მეტოქეობა და ბრძოლა. საბჭოთა რუსეთისაკენ ჯარების გაგზავნა ანტანტისათვის შეუძლებელი ხდება. არა მარტო ევროპის პროლეტარიატი, არამედ ხალხის ფართო მასსები, წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, რომელიც რიცხვით სჭარბობს დღეს ევროპის პარლამენტებში, აშკარათ დაინახავენ, თუ რა ამოძრავებს ანტანტის ხელმძღვანელებს მათ შეურიგებელ პოლიტიკაში.

„ფული (ძველი ვალები) ან სიკვდილი!“—ასე მიმართავენ იმპერიალიზმის ყაჩაღები რუსეთის მუშებს და გლეხებს. მუშურ-გლეხური მთავრობა თანხმობას აცხადებს ვალის ნაწილის გადახდაზე. და თუ ამას შემდეგ ანტანტა საავაზაკო დანას არ გააგდებს ხელიდან, მას საქმე ექნება არა მარტო რუსეთის მუშებთან და გლეხებთან, არამედ საკუთარი საბრძანებლის აჯანყებულ ხალხის მასსასთან.

საბჭოთა რუსეთის პრესა

მოუსვენრობა პოლონეთში.

ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი პოლონეთში დღითი-დღე მწვავდება. პოლონური მარკა სწრაფათ მიექანება ძირს და ეს, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ვალიუტის დაცემა, ნამდვილი მაჩვენებელია ეკონომიური კრახის. პოლონურ მარკის დაცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევადაროთ ჩვენი მანეთის დაცემას ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყებამდი. ჩვენი მანეთი ეცემოდა იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ნატურალური შემოსავლის რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა, ამ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში კი მისი დაცემა ძალიან შეჩერდა. წინააღმდეგ, პოლონეთის მთავრობის უმთავრეს შემოსავლის წყაროთ კვლავ რჩება ემისია, რომელსაც მეურნეობის დაქვეითების პირობებში, პოლონეთის ფინანსები მიყავს აუცილებელ დაღუპვისაკენ. სიძვირის უსაზღვრო ზრდა ძლიერ სცემდა მუშათა კლასს და ამ ნიადაგზე პოლონეთის პროლეტარულ მასებში იზრდება უკმაყოფილება და მღელვარება. მუშური მასები დიდი სიჩქარით შორდებიან სოციალ პატრიოტებს და მიყვებიან კომუნისტურ ლოზუნგებს. ამ პროცესის ობიექტიური მაჩვენებელია, უპირველესათ, დამხმარე კასების არჩევნები, რომლებშიდაც კომუნისტებმა მიიღეს შედარებით უმრავლესობა სატახტო ქალაქში—ვარშავაში—და აბსოლიუტური უმრავლესობა დომბროვსკის ნახშირის რაიონში, ამ მნიშვნელოვან პროლეტარულ ცენტრში. კიდევ უფრო მეტად აშკარა გარდატეხის მაჩვენებელია მუშურ მასების მასიური დემონსტრაციები და განსაკუთრებით ვარშავის პროლეტარიატის უკანასკნელი ძლიერი დემონსტრაცია, მიმართული პოლონეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა 8 საათის სამუშაო დღის ლიკვიდაცია. ჩვენი პოლონელ ამხანაგების უდიდესი გამარჯვება მით უფრო დიდია შესანიშნავია რომ ისინი განიცდიდენ და ეხლაც განიცდიან უზომო ბარბაროსულ დევნას მთავრობისაგან მაშინ როდესაც მუშა-კომუნისტები ამ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკის ციხეებში ათასობით იტანჯებიან.

რევოლუციონურ მუშათა მოძრაობის წარმატებით გაბრაზებული ბურჟუაზიული გაზეთები მთელ ამ მომხდარი ამბების მიზეზს ტყუილით ეძებენ ვარშავის ჩვენ საელჩოში და ბრალს სდებენ მას პოლონეთის კომუნისტურ მოძრაობის დახმარებაში. ამ ბრალდებების იდიოტიზმი მეტად ნათელია, რომ ღირდეს მათი გაბათილება. პოლონეთის „ახრანკის“ ბატონები მეტად გამოქნილი ოსტატები არიან თავის საქმეში, რომ მათ საშუალება მისცენ ჩვენს ამხანაგებს დაიჭირონ რაიმე კავშირი პოლონეთის მუშებთან. თუმცა ყველა ბურჟუაზიულმა მწერლუკებმა კარგათ იციან, რომ ისინი სტყუიან. მაგრამ ეს სიცრუე მათ სჭირდებათ თავიანთი მიზნებისათვის, კერძოთ, სურთ მიაფუჩეჩონ მათთვის ის მომაკვდინებელი ფაქტი, რომ პროლეტარული რევოლუცია პოლონეთში მწიფდება თავის შინაური მიზეზების გამო, ყოვლგვარ უცხო გავლენის გარეშე და რომ პირველი და ძირითადი მიზეზი მუშათა მოძრაობისა არის პოლონეთში ბურჟუაზიულ რეჟიმის არსებობა, რომელიც აწარმოებს საკმაოდ ბრიყვ პოლიტიკას თითქმის ბურჟუაზიულ ინტერესების თვალსაზრისითაც. მხოლოდ ახლა დგება ანგარიშის გასწორების წამი ბურჟუაზიულ პოლონეთის სამხედრო ავანტიურებისათვის აღმოსავლეთში, მისი საშინელი ხარჯებისათვის ომში, პარიზის ბირჟის მორჩილებისათვის და მუშათა კლასის დაცინვისათვის.

თუ რამდენათ დამძიმებულია პოლონეთში ატმოსფერო, შეიძლება გავითვალისწინოთ იმ გაუგონარი სკანდალისაგან, რომელიც მოხდა პოლონეთის სეიმში, როდესაც მუშა კომუნისტების დეპუტატ დომბალს მხეცურათ სცემეს ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლებმა, უკაცრავათ პასუხია, სოციალისტ დაშინსკის დახმარებით. ბურჟუაზიული გაზეთები უკვე გაიძახიან კომუნისტების წინააღმდეგ დრაკონის კანონების შემოღებაზე. ალბათ, მათ უნდათ პოლონეთის კომუნისტებს გაუსწორდენ ისე, როგორც ეს შესძლო სამხრეთ სლავიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ. მაგრამ ისინი მოსტყუვდებიან. პოლონეთის მუშათა კლასი, რომლის უმრავლესობა ეხლა მოყვება კომუნისტებს წარმოადგენს მხარეში საკმაოთ ძლიერ ძალას და საკმაოთ გამობრძმედილია ბრძოლებში რუსეთის პროლეტარიატთან ხელის რეჟიმის საწინააღმდეგოთ შეერთებულ გამოსვლების დროიდან რომ მან ნება მისცეს ნაძირალების, ბურჟუაზიულ დეგენერატების და „ახრანიკების“ დაიმორჩილონ ის. მის ძარღვებში იგივე სისხლია, რომელიც სდუღდა რუსეთის პროლეტარიატის ძარღვებში სახელოვან ოქტომბრის დღეებში. მხოლოთ პოლონეთის ბურჟუაზიის გამოუყრუებულ თავებს შეუძლია დაამყაროს იმედები იმაზე რომ მათ მხარეში მუშათა რევოლუციის წინააღმდეგ ავანტიურა ჩატარდება უფრო ადვილათ და წარმატებით, ვიდრე მათმა პილსუდსკის კიევისაკენ შეტევა.

ბურჟუაზიულ-აზნაურული პოლონეთი ლპება და დალპება საბოლოოთ, მიუხედავათ იმისა, რომ მას აწვდიან დახმარებას ერთგული ბიძები პარიზიდან. საბჭოთა ზარი პოლონეთში ჯერ არ ჩამოკრულა, მაგრამ ის ჩამოკრავს აუცილებლათ.

„პრავდა“

საბჭოთა რუსეთი და რუმინია

ოდესა, 29 ოქტომბერი, (რადიო) რუმინიის გაზეთი „ლიუპტატორულ“ იუწყება ვარშავაში რუმინიის წარმომადგენლის ფილაიტის სიტყვით, რომ რუსეთსა და რუმინიის შორის ვარშავაში 22 ოქტომბერს დაწყებული მოლაპარაკება კარგათ მიმდინარეობს. ხმები მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ არ შეეფერება სიმართლეს და ვრცელდება ბოროტ განზრახული ელემენტების მიერ. პირველი 8 სხდომის განმავლობაში ფილაიტმა და კარახანმა მიაღწიეს შეთანხმებას მოლაპარაკების პროგრამის ყველა საკითხებში.

საკითხი ბესარაბიის შესახებ, რომელიც რუმინიის აზრით არ იყო საბოლოოთ გადაჭრილი თანახმად მისი წარმომადგენლის მოთხოვნისა დასვეს. მშვიდობის წესრიგში შეთანხმების დებულებები სავსებით გამომუშავებულია. ამ ჟამათ რედაქციას უკეთებენ ოქმებს. აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ უარყონ საზავო კონფერენციის მოწვევა და აქვე გადაჭრან ყველა საკითხები.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ოქროს შესყიდვა სახელმწიფოსაგან.

მოსკოვი. 1 ოქტ. (რადიო). უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ მიანდო ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენელს შეისყიდოს როგორც კერძო პირებიდან ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან ოქრო, პლატინა და უცხო სახელმწიფოთა ვალიუტა, ფინანსთა კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში საზღვარ-გარეულ ბაზრის ფასებთან შეფარდებით.

კომუნისტებმა გაიმარჯვეს.

მოსკოვი. 1 ოქტ. (რადიო). 25 ოქტომბერს პეტერბურგში შესდგა 19 საარჩევნო კრება. 4 დღის განმავლობაში შესდგა 291 კრება. არჩეულია 1.068 პეტროგრადის საბჭოს წევრი. აქედან 850 კომუნისტი, 214 უპარტიო და 1 ესერი. ნაარჩევნო კამპანიები—ყველა რაიონებში თავდება.

გრიგალი თურქესტანში.

მოსკოვი. 1 ნოემბერი, (რადიო). ღამით 14 ოქტომბერს ნავთის სამრეწველოებზე კოკანდაში დატრიალდა არა ჩვეულებრივი სიძლიერის გრიგალი, რომელმაც ერთიანად გაანადგურა 4 საბურღავი. მოგლეჯილია ელექტრონის სადგურის და სახლების სახურავი. დაზიანებულია ელექტრონის სინათლის და ტელეგრაფის ხაზები. ეს განადგურება ნავთის თვიურ ამოღებას შეამოკლებს 100,000 ფ. 25.000 ფუთამდი.

ამერიკის დახმარების წარმომადგენლის განცხადება.

მოსკოვი. 24 ოქტ. ამერიკის დახმარების ორგანიზაციის დირექტორმა პოლკ. გასკელმა მოახდინა სამარის რაიონის დაწვრილებითი გამოკვლევა, რომელიც ყველაზე უფრო დაზარალებული. პოლკ. გასკელმა გამოიკვლია აგრეთვე უფის გუბერნია და ბაშკირეთის რესპუბლიკა. ამ მოგზაურობის შედეგათ შედგენილია მემორანდუმი ამერიკის პრესისათვის, რომელშიდაც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ დამშეულია მთელი ვოლგის ბასეინი და მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი. შიმშილის კრიზისი უფრო გამწვავდება ამ წლის ბოლოში და შემდეგ წლის დასაწყისში, სიცივისა და ადგილობრივ მარაგის გამოლევის გამო. პოლკ. გასკელი ციფრებით აღნიშნავს რომ დამშეულთა რიცხვი უდრის 15 მილიონ კაცს. პოლკ. გასკელის აზრით, რუსეთის ტრანსპორტის მდგომარეობა ისეთია, რომ სანოვაგის შეუწყვეტელი მოზიდვა დააკმაყოფილებს მხოლოთ დამშეულების 75 პროც.

კაპიტალიზმის სამეფოებში

პოლონეთი

მუშური მოძრაობა პოლონეთში

მოსკოვი, 1 ნოემბერი (რადიო). მოლაპარაკება მუშებსა და პოლონეთის ლითონის სამრეწველო მწარმოებელთა შორის უშედეგოთ გათავდა. 22 ოქტომბერს დაიწყო გაფიცვა, რომელიც გავრცელდა აგრეთვე ელექტრონის, გაზის და წყალსადენის მუშებზე. წარმოებები გარშემორტყმულია ჯარებით.

ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის.

მოსკოვი. 30 ოქტომბ. (რადიო). პოლონეთის სხვა და სხვა ადგილებში შესდგა მუშების დემონსტრაციები და მიტინგები 8 საათის სამუშაო დღის დასაცავათ. განსაკუთრებით გრანდიოზული იყო ლოძის დემონსტრაცია, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა 100,000 კაცი. სასოფლო სამეურნეო გაფიცვის დროს პოზნანის ოლქში მემამულე კრიზანმა გამოიწვია ულანები, რომლებიც სცემდენ გაფიცულ მუშებს.

ინგლისი

კომუნისტურ გავლენის ზრდა

მოსკოვი, 1 ნოემბერი (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან: „ბრიტანიის იმპერიის კავშირი“ ლონდონში ჩაშლილია შეკავშირებულ კომუნისტების მაცადინობით. ლორდ დერბი, რომელიც გამოვიდა სიტყვას სათქმელათ, არ ალაპარაკეს. ბრიტანიის იმპერიის ბაირაღი ჩამოგლიჯეს უმუშევრებმა ყოფილმა ჯარის კაცებმა. ძლივს მოახერხეს დარბაზის განთავისუფლება.

იაპონია

მოსკოვი, 30 ოქტ. (რადიო). იოკოგამის ნავთსადგურში გაფიცვა კიდევ არ გათავებულა. ნავთსადგურის მუშების კავშირის თავმჯდომარის მეთაურობით ისინი დადიან ქუჩებში წითელ ბაირაღებით.

ამერიკა.

ვაშინგტონის კონფერენცია.

ნიუ-იორკი. 30 ოქტომბერი (რადიო). პრეზიდენტი გარდინგი დიდი იმედით ელის ვაშინგტონის კონფერენციას. საერთოდ, გარდინგის სიტყვით, ყველა სახელმწიფოები ერთდებიან იმაზე, რომ აუცილებელია ფართო მასშტაბით მსოფლიო განიარაღების გატარება. გარდინგი ამასთან აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები არ შესწირავენ არც ერთ პუნქტს, რომელიც კი ასე თუ ისე ოდნავ შეეხება მათ დამოუკიდებლობას. უკვე ჩამოსული დელეგატები ერთხმად მოითხოვენ შეიარაღების საჩქაროთ შემოკლებას, რადგანაც ის ერთად ერთი ზომაა, რომელიც დაამშვიდებს გაბოროტებულ პოლიტიკ.-ეკონომიური ვნებათა ღელვას.

მენშევიკური დიპლომატიის საიდუმლოებანი

II

ბალე, ალა!

სანამ იყიდიდეს ადამიანის სულს, ეშმაკი ყოველთვის გამოცდის მას. ამ სულის ამ სახელგან ვაჭრულ ტრადიციას იცავენ ყვითელი ეშმაკის წარმომადგენლებიც ყვითელი ინტერნაციონალის გმირების მიმართ. მენშევიკმა დ. თოფურიძემ ამერიკელების მხრით განიცადა დაკითხვა, საფუძვლიანი და მიდგომილი.

სუვერენული და „დამოუკიდებელი“ საქართველოს ამ წარმომადგენლის პასუხები გვაგონებენ ჰარამხანებში დამწყვდეულ ქალების პასუხების ჩვეულებრივ ფორმას, რომლებიც (ქალები) თავიანთი მბრძანებლების ყველა ქონინობაზე და კაპრიზებზე უცვლელად უპასუხებენ:

— ბალე ალა! (დიახ, ბატონო!)

საერთოდ მთლიანად ყველა მრავალრიცხოვანი კითხვები, რომლებიც დაუყენეს მენშევიკების წარმომადგენელს, შეიძლება შეერთებულ იქნან სამი ძირითად კითხვით. პირველი ესაა კითხვა კეთილსაიმედობაზე.

ამერიკელები შიშობენ:

როგორია თქვენი კეთილსაიმედობის საქმე: თქვენ ხომ თავს სოციალისტებს უწოდებთ, წითელ დროშებს ატარებთ, რევოლუციაზე ლაპარაკობთ, ინტერნაციონალთან მიწერ-მოწერას აწარმოებთ, აგრარულ რეფორმას ატარებთ.

მენშევიკი დ. თოფურიძე უპასუხებს:

ო, ნუ შიშობთ ბატონო! რევოლუცია ჩვენ ბევრი ხანია დავასრულეთ, სოციალისტები ჩვენ მხოლოდ შინა ვართ, „სტატსკი“ სოციალისტები. მთავრობა ჩვენში ისეთია, როგორც თქვენში. ხოლო თუ ვატარებთ აგრარულ რეფორმას, ეს მარტოდ მარტო წესიერების დამყარების მიზნით, რათა შევაჩეროთ გლეხების მიერ მიწის თვითნებური დაუფლება. ამასთან, ჩვენ დავიცავით მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპი. საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენ მზათა ვართ ყოველნაირად ხელი შევუწყოთ კაპიტალს და კაპიტალისტებს, მუშები ჩავაჩუმოთ, ერთი სიტყვით, გემსგავსებით თქვენ როგორც წყლის ორი ცვარი ერთმანეთს ემსგავსებიან.

მეორე საკითხი—ესაა კითხვა ბრძოლის უნარიანობის შესახებ: სანამ გამოუშვებენ მენშევიკს ანტიბოლშევიკური ბრძოლის რაინდში, პრაქტიკული იანკები წინადადებას აძლევენ მას, თავისი ძალ-ღონის დემონსტრაცია მოახდინოს...

მესამე კითხვა: მზადა ხართ თუ არა თქვენი სული გაყიდოთ?

პროფესორი ჯედსონი ამ კითხვას ასე აყალიბებს: „ინგლისი და ამერიკა მეგობრები არიან, განსაზღვრული პრინციპების და წესიერების დამყარების გეგმის მთელს მსოფლიოში გატარების საქმეში მათ შორის სრული ერთობა და თანხმობა არსებობს, ამიტომ ჩვენ მოსურნენი ვიქნებოდით გაგვეგო—შეგიძლიათ თუ არა თქვენ სასარგებლონი იყოთ ინგლისათვის და მაშასადამე, ჩვენთვის ბოლშევიკებთან ბრძოლაში და წესიერების დამყარების საქმეში?

თოფურიძე უპასუხებს:

დიახ, ბატონო!

მოსალოდნელი იყო, რომ ამას შემდეგ მოკავშირეთა წარმომადგენელს საქართველოსათვის კავშირში შესვლის წინადადება უნდა მიეცა, მაგრამ ნამდვილად კი პროფესორი ჯედსონი, გაიგო თუ არა, რომ მენშევიკები ყველაფერზე თანახმა არიან, უცბად აცხადებს, რომ მოკავშირეებს არ შეუძლიათ და ვერც მიმართავენ საქართველოს დახმარებისათვის, რომ თვით მენშევიკებმა უნდა შესთავაზონ დახმარება ანტანტას. პირველ შეხედვით უცნაური, ხსენებული უსურველობა საქართველოსთვის მიმართვისა, აიხსნება მოკავშირეების მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მიმართ დაკავებული პოზიციით 1918 წლის დასასრულს, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა გენერალ ტომსონის დეკლარაციაში, ეს დეკლარაცია ამბობს: „მოკავშირე სახელმწიფოები, ისევე როგორც რუსეთის ახალი მთავრობა უფაში, რომელთან ისინი ერთად და თანხმობით მოქმედებენ, არ სცნობენ არავითარ დამოუკიდებელ ერთეულებს, რომლებიც შეიქმნენ რუსეთში და მათ არ მიეპყრობიან როგორც ასეთებს. მათი მოქმედების მიზნები შემდეგია: 1) [illegible] რუსეთის ხელისუფლების სახელით აღდგენა კავკასიაში წინანდელი მეფის მოადგილეობის, როგორც ადმინისტრატიული კადრისა, მხარის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების აღორძინების გასაადვილებლად, ხალხები შემდეგში თვითონ მოაწესრიგებენ თავიანთ ურთიერთობას, როცა ეს აღმოჩნდება შესაძლებელი; 2) კავკასიის განთავისუფლება გერმანელ ჯარებისა და ბოლშევიკებისაგან, რომლებთან მოკავშირენი საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან; 3) ინგლისის სამხედრო სარდლობა ახდენს მხარის ოკუპაციას მასში წეს-რიგის დაცვის მიზნით, მაგრამ არა აქვს შინაურ საქმეებში ჩარევის განზრახვა. ადგილობრივი ჯარები დაექვემდებარებიან ინგლისის სარდლობას და გაწვრთნილებიან როგორც რუსეთის ჯარები; 4) ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენა სპარსეთის ნავთსადგურებთან და სხვა, ბოლშევიკების მიერ დაკავებულ ნავთსადგურებთან, სპარსეთთან სანავთო მრეწველობის პროდუქტების საქონლის გადაცვლის დამყარება ბრინჯის, ქიშმიშის და ხის ნახშირის სანაცვლოდ, სამხედრო ხელისუფალთა კონტროლ ქვეშ, სპეკულიაციის აცილების და მოსახმარ პროდუქტებზე ფასების დაწევის მიზნით; 5) თავისუფალი მიმოსვლა რკინის გზებით ცალკე სამხედრო პირების და მოკავშირეთა სამხედრო ნაწილებისა. ამ საკითხის შესახებ საჭიროა შეთანხმება საქართველოსთან; 6) სომხეთის ჯარები დაბრუნებული იქნებიან უკან, სამშობლო სომხეთში იარაღით“. (ნ. ჟორდანიას დეპეშა სოხუმიდან 1918 წლის 11 დეკემბრის თარიღით ჟორდანიას პირადი არქივიდან).

მოყვანილი დეკლარაცია გარკვევით ლაპარაკობს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების არ-ცნობაზე, წინანდელი მეფის მოადგილეობის აღდგენაზე კავკასიაში და კოლჩაკის მთავრობის დამორჩილებაზე. ამის შემდეგ არავითარი ეჭვი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ანტანტის ჭეშმარიტი განზრახვების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

თვით წმინდა წყლის ნაციონალიზმის დამოუკიდებლობის მარტო შიშველი იდეოლოგიის თვალსაზრისით მოკავშირეთა პოზიცია თითქო სავსებით მიუღებელია ნ. ნ. ჟორდანიას, გეგეჭკორის და კამპანიისათვის.

და მაინც მონურმა მენშევიკურმა სულმა ვერ შესძლო უარი ეყო ფიქრი ამა სოფლის ძლიერებთან თუნდაც დროებითი კავშირის მიღწევისა, სამარცხვინო, გამცემელ და [illegible] საქართველოს თვალსაზრისით, სრულიად საზიანო კავშირისა.

ჩვენ ვთხოვთ მკითხველებს დაიხსომონ გარკვეული თარიღები: 11 დეკემბერს ნ. ჟორდანია ღებულობს ტომსონის დეკლარაციას, ამ დეკლარაციის შინაარსთან სრული თანხმობით პროფესორი ჯედსონი რამოდენიმე დღის შემდეგ ეუბნება თოფურიძეს, რომ მოკავშირეებს არ შეუძლიათ და ისინი ვერ მიმართავენ საქართველოს დახმარებისათვის მაგრამ უკანასკნელმა თვითონ უნდა შესთავაზოს თავისი სამსახური (თოფურიძის მოხსენება 16 დეკემბრის თარიღით).

მოსალოდნელი იყო, რომ მენშევიკები ჩაფიქრდებოდნენ, შეეცდებოდნენ თუ არ სხვა ძალების ძებნას, ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკების გაგრძელებას მოკავშირეებთან და თომსონის წინააღმდეგ. მაგრამ მენშევიკური საქართველოს მმართველები, მიუხედავად მოკავშირეების სრულიად გარკვეულ პოზიციისა, უკვე 18 დეკემბერს სრულ თანხმობას აცხადებენ, ჯედსონის მიერ თოფურიძისათვის არა ოფიციალურად გადმოცემულ მოკავშირეთა ყველა პირობების მიღებაზე. აი რას იუწყებიან უკანასკნელ გარემოების შესახებ იგივე თოფურიძე: „დეპეშა, თბილისი, სახელი, სამხედრო მინისტრს სოხუმიდან. გუშინ უებსტერს გადავეცი სამი მემორანდუმი (—) ერთი წინადადებით გახსნას საზღვარი და დაიწყოს მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა თბილისიდან ბათომამდე, ამასთან სიტყვიერად დავძინე აუცილებლობა სატელეგრაფო ხაზის შეკეთებისა ნოვოსენაკისა და ბათომს შორის და შევსთავაზე ამისათვის ჩვენი ტექნიკური ძალები. მეორე მემორანდუმი ეხება რესპუბლიკის ძალების და საშუალებების გამოყენებას მოკავშირეებთან ერთად მიზნებისათვის ბოლშევიკებთან ბრძოლის და წესიერების დაცვის საქმეში, ამასთან განსაკუთრებით აღნიშნულ იქმნა აუცილებლობა სახელმწიფოებრივ ურყევი შეთანხმების ჩვენი საზღვრების თავდაცვისათვის, რასაც არ უნდა ეყოს. მესამე მემორანდუმი ეხება სახაზინო ამბებს, ხაზგასმულია სომხების დაუშვებელი საქციელი ამ საკითხში. ყველა სამივე მემორანდუმი უებსტერმა გუშინვე, ოფიციალურად, გაუგზავნა სტამბოლში უმაღლეს სარდლობას. გარდა ამისა, მან თავისთვის წაიღო ყველა სამივე მემორანდუმის ასლები და [illegible] სომხეთის წარმომადგენელ ჯამალიანთან, რომლისაგან მოითხოვა შეტაკებათა დაუყოვნებლივი შეწყვეტა და ჯარის დაწყვეტა შეტაკებამდე მის მიერ დაკავებულ ხაზამდე. სადავო საკითხები კი გადაწყვეტილ იქნას მშვიდობიანი გზით ჩვენ მიერ განზრახულ საფუძვლებზე, როგორც ერთად ერთ მისაღებზე. ჯამალიანმა თანხმობა განაცხადა და პირადად მიემგზავრება თბილისში დღესვე რომ თავის მთავრობას გადასცეს ინგლისელების მოთხოვნანი. საქმის დაუჩქარებლად, უებსტერის თხოვნით ჯამალიანს მიეცა ჩვენი ვაგონი. სამტრედია. ჩვენი დელეგაციის ევროპაში გამგზავრების შესახებ უებსტერი შეეკითხა ტომსონს, რომელმაც უპასუხა, რომ კავკასიიდან ოსმალეთის ჯარების სრულ ევაკუაციამდე, ის მოკლებულია საშუალებას ამ კითხვის გამო რაიმე დადებითი პასუხი გასცეს, თვითონ უებსტერი ფიქრობს, რომ კითხვა ადვილად გადაიჭრება ბათომში პასუხისმგებელ სარდლის და ესკადრის ჩამოსვლის შემდეგ, რომელსაც მოელიან დღეს. გარდა ამისა, შევსწორდით რაც შეიძლება სწორი ცნობები ოსმალეთის ძალების მონაწილეობის შესახებ სომხების მხარეზე და საერთოთ თუ როგორ უჭერიათ თავი მაჰმადიანებს ამ შეტაკებაში. ეს ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოს მოხსოვნებთა შეკავება ექსცესებისა და შეუძლებლობის რესპუბლიკის შიგნით, ეს აქტები დამღუპველი იქნებოდნენ ჩვენი სახელისათვის და უფრო მეტი ვნების მომტანი ვიდრე დამარცხება სამხედრო მოქმედებებში. 19 ოქტომბერი 1918 წელი. დიომიდე თოფურიძე“. (საქმე № 150 „სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილებისა ბათომის დიპლომატიური წარმომადგენლის მოხსენებებით“, 1918 წლისა). ამ გვარად 1918 წლის 18 დეკემბერს მენშევიკური მთავრობა, რომელიც არ იქნა ცნობილი მოკავშირეების მიერ, რომელმაც, პირიქით უკანასკნელებისაგან მიიღო კატეგორიული განცხადება, რომ მოკავშირეთა ჯარების მოსვლის მიზანი მდგომარეობს რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციის დახშობაში, მთელი რუსეთის, მათ რიცხვში ამიერ-კავკასიის ხალხების დაქვემდებარებაში ადმირალ კოლჩაკისადმი,—მაინც გამოდის მემორანდუმით, რომელშიც მთელ თავის ძალებს სთავაზობს მოკავშირეთა ბანდიტების დასახმარებლად.

23 [illegible] დეკემბერს ქართველმა მენშევიკებმა მიიღეს პოლკოვნიკ ჟორდანისაგან მიმართვა მოკავშირეთა ჯარებისათვის შენობის დათმობის შესახებ, ერთი ქვეითა ბრიგადისა, ერთი არტილერიის ბრიგადისა, შტაბისა და 1800 ცხენისათვის, ამასთან ჟორდანი ყოველგვარ გაუგებრობის აცილებლად იტყობინება, რომ მოკავშირეთა ჯარების მოსვლა თქვენს დედა-ქალაქში ხდება საერთაშორისო ზავის და მშვიდობიანობის საერთო სქემის თანახმად, რომელსაც ახლა შეადგენენ ყველა მეომარ ქვეყნების სურვილს, და რომ მოკავშირე ქვეყნების მთავარი მამოძრავებელია სურვილი აღდგენილ იქნას წესიერება და ცხოვრების ნორმალური პირობები კავკასიაში.

ჟორდანი აიმედებს მის აღმატებულებას საქართველოს მინისტრ-პრეზიდენტს, რომ მოკავშირეები არ ჩაერევიან „თქვენ შინაურ საქმეებში და აგრეთვე არ შეეხებიან თქვენი ხალხის თავისუფლებას. ყველა ამ ხასიათის საკითხები გაირჩევა საზავო კონფერენციაზე პარიზში: (ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები გვ. 486).

პოლკოვ. ჟორდანის ეს მიმართვა წაიკითხა გეგეჭკორმა საქართველოს პარლამენტში იმის დასამტკიცებლად, რომ მოკავშირეები ახლო იყვნენ საქართველოს ცნობასთან. საერთოდ ეს წერილი მენშევიკებისათვის ხელი-ხელ საგოგმანებელი შეიქნა.

გეგეჭკორი იმავე სიტყვაში მოლაპარაკება მოკავშირეებთან შემდეგნაირათ არის გადმოცემული: „ჩვენი მიმართვა შეთანხმების სახელმწიფოების მიმართ იყო ასეთი: „აი, ჩვენი ნეიტრალობა, თქვენ ვერ დაასახელებთ ერთს მაგალითს, ერთ ისეთ აქტს, რომელიც ამოწმებდეს იმას, რომ ჩვენ ვარღვევდით ამ ნეიტრალობას ან და იარაღი აგვეღოს მოკავშირეების წინააღმდეგ. ახლა თქვენ მოდით ჩვენთან, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ მას სურს დაამყაროს კეთილი განწყობილება მოკავშირეებთან, რასაც დაამტკიცებს საქმითაც. თქვენი საერთო მანდატი, როგორც თქვენ ამბობთ, ასეთია: თქვენ უნდა დაამყაროთ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში წეს-რიგი. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველომ შესძლო საკუთარ ძალებით დაემყარებინა წესრიგი. თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ქართველმა ხალხმა მოახერხა შექმნა სახელმწიფოებრივი აპარატი წარსულის სისხლიან დღეებში. თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ მდგომარეობას, რომ მხოლოდ საქართველომ გამოიჩინა თავის სახე და შეინარჩუნა აგრეთვე ამასთან ერთად ყველა თავის ძალები მოახმარა ხალხთ კულტურის დაცვას და ეს ამოცანა მან შეასრულა პატიოსნათ. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ თქვენ განცხადებას იმის შესახებ, რომ თქვენი გეგმები, თქვენი პერსპექტივები ხელს დებენ საქართველოს საზღვრებს. ამასთან ერთად ჩვენ იმასაც ვუწევთ ანგარიშს, რომ ამ გეგმების განსახორციელებლად თქვენთვის სასურველია გამოიყენოთ აქ არსებული აპარატი. მაგრამ, ამასთანავე, საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილად აცხადებს, რომ ეს აპარატი თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ერთი პირობით: ჩვენი ნებით, ჩვენთან შეთანხმებით. ჩვენ დამოუკიდებელი საქართველო ვართ, მართალია, ჯერ თქვენ იმას არ იცნობთ და არ არის ცნობილი იმ სახელმწიფოებიდან, რომლების წარმომადგენელი თქვენ ხართ, მაგრამ ჩვენ გამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ ჩვენ თვითონ ვცნობთ. და ეს არ არის მარტო დეკლარაცია, არამედ ფაქტი, რომელიც თქვენ წინ არის მთელი თავის სიცხადით“.

ყველაზე უფრო ნაკლებათ შეეფერება ეს მაღალი სტილი ანტანტასთან მოლაპარაკების სამარცხვინო ისტორიის აწერას. ნამდვილათ ამ მოლაპარაკებამ მხოლოთ იქამდი მიიყვანა ისინი, რომ ნ. ნ. ჟორდანიებმა, გაყიდეს რა მუშა-გლეხთა რუსეთი, ამავე დროს ჩაიდინეს საზიზღარი საქმე საქართველოს მიმართაც. ეს უკანასკნელი იყო ჩაყენებული საშინელ მდგომარეობაში. „ჩვენი მეგობრების, მეგობრებმა მოხალისეებმა მალე დაიწყეს შემოტევა სოჭის ოლქში. გენერალ დენიკინის წარმომადგენელი ინგლისის გენერალი კრიგი ურჩევდა ქართველ მენშევიკებს შეეგებოდნენ „რუსეთის დიდ პატრიოტებს“, რომელიც მისცემს საქართველოს ავტონომიას და სხვ. როდესაც ჟორდანიამ და გეგეჭკორმა გაბედეს მოეგონებინათ მოკავშირეებისათვის, რომ ასე ვთქვათ, შეპირებული იყო საჩუქარი ინგლისთან ურთიერთობის“, მოკავშირეების წარმომადგენლებმა უპასუხეს მათ თვალწუნებული დაცინვის ტონით. ამ უკანასკნელ საუბარს ქონდა ადგილი 1919 წ. 15 თებერვალს. ეს ლაპარაკი მოხდა ჟორდანიას—გეგეჭკორის ერთი მხრით და ამიერ-კავკასიაში ბრიტანეთის ჯარების სარდლის ფორესტიერ უოკერის შორის. ადგილის უქონლობის გამო ჩვენ იძულებული ვართ მოვიყვანოთ ამ საუბრის პატარა ნაწილი:

საგრ. საქ. მინისტრი: თქვენ აქ არ ყოფნაში, გენერალო მე საუბარი მქონდა გენერალ ვაისთან იმის შესახებ, რომ ჩვენ, საქართველო, მივდივართ ინგლისთან მჭიდრო შეერთების გზით. მე ვამბობდი, რომ ჩვენ ველით ამ გაერთიანების პრაქტიკულ შედეგებს, მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა, მოხალისეთა ჯარების შემოტევის გამო, რამოდენიმეთ შეარყია ჩვენი რწმენა.

გენერ. უოკერ: ნუ თუ ეს გაერთიანება ფასდება განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით თუ, რამდენათ ჩვენ დაგეხმარებით პრაქტიკულათ?

საგრ. საქ. მინისტრი: არა, მაგრამ ჩვენ გვაქვს გამაერთიანებელი ინტერესები, მაგალითად მე ველაპარაკე გენერ. ვაის ფინანსიურ, სასურსათო, სამრეწველო და რკინის გზების საკითხებზე. მე პირდაპირ დაუსვი საკითხი თუ რას შეგვიძლია ველოდეთ ჩვენ ინგლისიდან.

გენერ. უოკერ: ჩემ მიერ ყურადღება უკვე მიქცეულია თქვენი რესპუბლიკის ფინანსიურ მდგომარეობაზე, მაგრამ ის მჭიდროთ არის დაკავშირებული რკინის გზის საქმესთან, რადგანაც ინგლისს არ შეუძლია ქვეყნებს გაუწიოს ფინანსიური დახმარება, თუ ამ მხრივ არ იქნა რაიმე გარანტია. რაც შეეხება მოკავშირეთა კერძო კაპიტალის შემოსვლას, თქვენში არსებულ სოციალიზაციის გამო—მოკავშირეების კაპიტალს აქ არ შეუძლია მოვიდეს.

მთავრ. თავმჯდომარე: სოციალიზაცია არ ვრცელდება სამრეწველო და სავაჭრო წარმოებებზე, ეს ჩვენ არ გვაქვს.

გენერ. უოკერ: ჩვენ არ გვაქვს მტკიცე რწმენა.

მთავრ. თავმჯდომარე: უნდა გქონდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებოდით ბოლშევიკები და არა საქართველო. თქვენ ინგლისელებს გაქვთ ახლოშენი ახალი ზელანდია, ერთიანათ ნაციონალიზაცია გატარებული, ჩვენთან ნაციონალიზაცია ეხება მხოლოთ მსხვილ მამულებს და ტყეებს. საქართველო მდიდარია როგორც მიწის გულის სიმდიდრით, ისე მისი ზედა პირით, მაგრამ თუ არ იქნა მოკავშირეების კაპიტალი, ჩვენ ვერ შევსძლებთ ამ განძეულობის ექსპლოატაციას. ჩვენ არ გვინდა, რომ აქ შემოვიდეს სხვა სახელმწიფოების კაპიტალი, რასაც რასაკვირველია, შეიძლება ექნეს ადგილი.

გენერ. უოკერ: „შეიძლება“. („მთავრობის თავმჯდომარის საუბარი გენერალ უოკერთან“, ჟორდანიას პირადი არქივიდან, 1919 წ.).

ჩვენ კიდევ ბევრ ერთხელ დავინახავთ, თუ მოკავშირეები, იყენებდენ რა მენშევიკებს რუსეთის მუშათა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს აბუჩად იგდებდენ მათ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევის დროს ამ წვრილ ბურჟუაზიულ გმირებს წინააღმდეგობა აძლევდენ ქედი მოეხარათ გენ. დენიკინისა, კოლჩაკისა და სხვა მემამულე ბურჟუაზიულ რუსეთის შავ და თეთრ დიქტატორების წინაშე.

მენშევიკები ჩიოდენ თავის მეგობრებთან მეორე ინტერნაციონალიდან „მოკავშირე დემოკრატიაზე“, რომელიც აძლევდა მათ საძაგელ წინადადებებს.

და მაინც ყოველთვის, როდესაც ასეთ საძაგელ წინადადებებს აძლევდენ, მენშევიკები უცვლელათ უპასუხებდენ: დიახ, ბატონო!

ი. შაფარი.

ქრონიკა

ფქვილი ინგლისიდან. ფოთში მოვიდა ინგლისიდან პირველი გემი ხორბლის ფქვილის 250.000 ფუთი ტვირთით, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის მისამართით. ნავთსადგურზე გემს დახვდნენ საბჭოთა ხელისუფლების, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ დღეებში ჩოლიან ამერიკიდან ფქვილისა და სხვა საქონლით დატვირთულ გემს.

მილიციის შემცირება. მთავარმა მილიციის სამმართველომ დაასრულა მუშაობა მთელი რესპუბლიკის მილიციის შტატების შემოკლების შესახებ, განზრახულია მილიციის შემადგენლობა შეამოკლონ 50 პრ.

შრომის ბირჟა რკინის გზებზე. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო ბირჟების განყოფილებების დაარსების საკითხი შიდა და გარეთ რკინისგზელთა რეგისტრაციისა, განაწილებისა და გამოყენების შესახებ.

პასუხისმგებელ მუშაკთა მომზადება. შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო საორგანიზაციო განყოფილების სთხოვნა პარტიის ც. კ. და ს. პ. კ. ს. რომ მათ 6 კაცი წარმოგზავნონ მოსამზადებლად შრომის კომისარიატის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გასაგზავნად პროვინციებში.

შრომის ბეგარა. რადგან ადგილობრივი რევკომები თავის ნებით აცხადებენ და ცხოვრებაში ატარებენ შრომისა და ურმის ბეგარას, რაც ეწინააღმდეგება დადგენილებას შრომის ბეგრის შესახებ და არღვევს ბეგრის შეფარდებას შრომის ბეგრის გატარებაში რესპუბლიკის მასშტაბით შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ სცნო საჭიროთ შეიმუშაოს შინაგან საქმეთა კომისარიატთან ერთად შესაფერი ცირკულიარი ამნაირ ქცევის დაუშვებლობის შესახებ.

„ზომისა და წონის მეტრიული სისტემა საქართველოში. სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტში, მის გადაკეთებამდე ს. მ. უ. ს. ცენტრალურ წარმოებათა ტექნიკურ განყოფილებათ, იყო მოსმენილი მოხსენება პროფ. დიდებულიძისა საბჭოთა საქართველოში ზომის და წონის მეტრიული სისტემის შემოღების შესახებ. სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა მოხსენების გამო მიიღო შემდეგი რეზოლუცია. 1) შემოღება ს. ს. ს. რ. მეტრიული სისტემისა, როგორც ერთად-ერთი კანონიერი საერთაშორისო ზომისა იქნეს საჭიროთ ცნობილი და მეტრიული ზომის შემოღება ჩაითვალოს პირველ ხარისხოვან მიზნათ სახელმწიფო კულტურულ აღმშენებლობისათვის. 2) დღევანდელი მომენტი, რომელიც წარმოადგენს საშუალო გადაკეთების და მისი ფულით საგარეო ვაჭრობის ურთიერთობის დამყარების მომენტს, უფრო ხელსაყრელად და შესაფერისად უნდა ჩაითვალოს მეტროლოგიური რეფორმის დაუყოვნელივ გასატარებლად 3) მეტროლოგიური რეფორმების განსახორციელებლათ საჭიროა კომისიის მოწვევა, რომელსაც ნაყოფიერი და ყარმატების მუშაობისათვის ამ საჭირო რეფორმების ჩასატარებლათ, უნდა მიეცეს საერთო სახელმწიფო ხასიათი ფართო ავტონომიური უფლებების მიხიქებით კომისიის პირველი შემადგენლობა განისაზღვრება ☒ წევრისგან ყოფილი მეტროლოგიური კომისიის თავმჯდომარე პროფ. დიდებულიძე და ზომის და წონის პალატის უფროსი გოციძე, რომელთაც უნდა ვთ კოოპტაციის უფლება, თანამშრომლების ტატის, ხარჯთ-აღრიცხვის და მომზადება დეკრეტებისა მეტროლოგიური რეფორმების შესახებ ს. ს. ს. რ.-ში, აგრეთვე დაწვრილებითი ღონისძიების რეფორმების პროგრამისა და გეგმისა. 6) რეფორმის განხორციელების წინასწარ მოსამზადებელ მუშაობისათვის გადაიდო 7.850.000 მან. რომლის ჯამში არ შევა მუშათა და მუდმივი კომისიის თანამშრომლობის ჯილდო. 7) ეთხოვოს ცენტრალურ წარმოებით განყოფილების თავმჯდომარეს დებულება საქართველოში მეტრიული სისტემის შემოღების შესახებ წარუდგინოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს დასამტკიცებლათ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა ყრილობა

მეოთხე დღე 25 ოქტომბერს.

თავმჯდომარე ამხ. ქოქიკაშვილი ხსნის კრების სადამოს 4 საათზე და აცხადებს, რომ კამათში ამხანაგები უმეტეს ნაწილით ისევ ეხებიან ამ საკითხს, რომელიც შემდეგ საკითხათ არის დასმული მიღებულ წესრიგით, საზღვრით ინსპექციებისა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა დამოკიდებულებას; ამიტომ თავმჯდომარე ხალხლათ იძლევა წინადადებას ყრილობამ ეს უკანასკნელი საკითხიც და შემდეგ გაიხსნას საერთო კამათი. ყრილობა ეთანხმება ამ წინადადებას.

ამხ. ქოქიკაშვილი ფართოდ ეხება საკითხს. სოციალისტურ წყობილებაში ადგილობრივ ორგანოები ხელმძღვანელობენ ცენტრის საერთო დირექტივებით, მაგრამ მათ ადგილობრივ ფართო ინიციატივის უფლება ეძლევათ, ფართო დამოუკიდებელი მოქმედება შეუძლიათ აწარმოონ; ეს გარემოება მოითხოვს, რომ ყველა ორგანოები შეკავშირებულათ მუშაობდენ და ამიტომ ინსპექციის გამოთიშვა, განკერძოებით დაყენება არ შეიძლება. ის არა სასიამოვნო მოვლენები, რომელიც ამხანაგებმა აღნიშნეს, აგებულია უმეტეს ნაწილათ ეტიკეტობაზედ, მაგრამ ასეთ ნიადაგზე არ შეიძლება დავარღვიოთ ძირითადი პრინციპი ინსპექციების და ხელისუფალთა დაკავშირების აუცილებლობისა. ჩვენ დავინახეთ მოხსენებიდგან, რომ ცენტრშიაც კი, თითქმ პერიფერიებში ხომ უმეტეს, ინსპექციის შემადგენლობაში ვერ შევიყვანეთ, ვერ ჩავაბით ჯერ მუშაობაში მშრომელი, მუშურ-გლეხური მასა, და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ზოგიერთ სამწუხარო ინციდენტებს ჰქონდა ადგილი, ვინაიდგან ძალიან ცნობილია ერთგვარი უნდობლობა ისეთი შემადგენლობისადმი, რომელიც ჩვენ გვყავს, ცენტრსაც რომ დაუქვემდებაროთ პირდაპირ ინსპექციები, მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ არასასურველ ინციდენტებს მაინც ექნება ადგილი, ვ ხშირათ ყოველივე ღონისძიება, რომ ინსპექციების შემადგენლობა გარდავქმნათ, ჩავაყენოთ საქმეში მშრომელი მასა, გავხადოთ იგი მეთვალყურეთ და მაშინ აღარ ექნება ადგილი ინციდენტებს. შეიძლება მაშინაც მოხდეს ხოლმე გაუგებრობა, მაგრამ ეს იქნება პრინციპიალური უთანხმოება და იგი პრინციპიალურადვე გადაწყდება, გაუმწვავებლად.

ამ მოსაზრებათა მიხედვით უნდა მივიღოთ, რომ ადგილობრივი ინსპექცია ადმინისტრატიულად ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოსთან უნდა იქნეს დაკავშირებული, დამოკიდებული, მის განყოფილებას უნდა შეადგენდეს, ხოლო სარევიზიო საქმეში ინსპექცია სრულიად თავისუფალი უნდა იყოს და მხოლოდ სახალხო კომისარიატისაგან იღებდეს დირექტივებს.

ის ნება ცხარე კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამხანაგები: რუხაძე, გაგლოშვილი, ხანიაძე, მკურნალი, ჯაფარიძე, მოსეშვილი და სხვანი.

ამხ. საყვარელიძე აღნიშნავს, რომ ყრილობას ძალიან აღელვებს საკითხი, რაიცა ადვილად გასაგებია, ვინაიდგან ადგილობრივი ინსპექცია ცხოვრების მეთვალყურეა, მისი დარღვევა, და თუ იგი დაქვემდებარებული იქნა ადგილობრივ ხელისუფლებაზე, აუცილებელია შეტაკება, ლოკალური შეუთანხმებლობა, მე არ ვეთანხმები ამხ. ქოქიკაშვილს და ვაცნობ, რომ დამოკიდებულება, თუნდა მარტო ადმინისტრატიული, ხელს შეუშლის მუშაობაში. თქვენ გამოიტანეთ დადგენილება ინსპექციის დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე და დაბრუნდებით ადგილებზე იმ რწმენით, რომ ეს დადგენილება განხორციელდება, მას მოიწონებს საქართველოს რევკომი.

შემოდის ორი რეზოლუცია: ამხ. ქოქიკაშვილისა: ადგილობრივი ინსპექცია შედგენს მაზრევკომის განყოფილებას და ადმინისტრატიულად მას ექვემდებარება, ხოლო სარევიზიო საქმეში ინსპექცია სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალია; მეორე რეზოლუცია შემოაქვს ჯაფარიძეს, რომელიც სცნობს, რომ ადგილობრივი ინსპექცია არ შედის რევკომის შემადგენლობაში, როგორც განყოფილება, და უშუალო მხრივ ექვემდებარება პირდაპირ სახალხო კომისარიატს.

უკანასკნელი მიღებულია 22 ხმით წინააღმდეგ 7, თავი შეიკავა 3; სათანადო რეზოლუციის შესამუშავებლად არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შევიდნენ ამხანაგები: საყვარელიძე, სილიკაშვილი და მკურნალი.

ყრილობა ღებულობს დეპეშების ტექსტს.

საქართველოს რევკომს.

პირველი ყრილობა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციების პასუხისმგებელ ხელმძღვანელობისა უძღვნის სალამს საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს. ყრილობა დარწმუნებულია, საქართველოს რევკომი გადალახავს ყველა ხელის შემშლელ პირობებს და მშრომელ მასას მიიყვანს ბედნიერების ტაძრამდის. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, როგორც მუშათა ხელისუფლების დარაჯი, არ დაიშურებს მთელ თავის ძალ ღონეს სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

ყრილობა სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ როგორც ცენტრი ისე მისი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი ენერგიულ დახმარებას გაუწევენ ინსპექციას მის მნიშვნელოვან მუშაობაში მშრომელთა საკეთილდღეოთ.

მოსკოვი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ამხ. სტალინს.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის პირველი ყრილობა იკრიბება რა ცხოვრების ეკონომიურად ახალ ნიადაგზე გარდაქმნის პირობებში, გესალმებათ თქვენ, როგორც გამოცდილ ხელმძღვანელს ძმური საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისას და გამოსთქვამს რწმენას, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოიყენებს რა საბჭოთა რუსეთის დიდს გამოცდილებას, ფხიზლად ედგომება დარაჯათ მშრომელთა ინტერესებს და შეასრულებს მასზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

რუსეთის წითელ ლაშქარს.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელი ხელმძღვანელთა პირველი ყრილობა უძღვნის ძმურ სალამს სახელოვან წითელ ლაშქარს, რომელმაც გადაარჩინა მუშურ გლეხური სახელმწიფო მსოფლიოს იმპერიალისტ მძარცველობისაგან. ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია, როგორც დაუძინებელი დარაჯი მუშურ-გლეხური სახელმწიფოისა, შესძლებს შეუნარჩუნოს მშრომელ მასას ის დიადი რევოლიუციის მოპოვებანი, რომელნიც ნაყიდია წითელი არმიის მიერ განუსაზღვრელი მსხვერპლით.

საქართველოს წითელ ლაშქარს.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა პირველი ყრილობა ამა წლის ოქტომბრის 22 ს შეკრებილი,—რომელიც დარაჯათ უდგას ძმური სალამით მიმართავს საქართველოს ნორჩ წითელ ლაშქარს—რევოლიუციის ქარცეცხლში გამობრძმედილ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. ყრილობას სჯერა, რომ ქართველი წითელი ლაშქარი, გამოიყენებს რა რუსეთის სახელოვან წითელ არმიის გამოცდილებას,—ღირსეულად შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას და თავის გმირობის ფურცლებს შეიტანს სოციალურ რევოლიუციის ისტორიაში.

კრება დაიხურა ღამის 9 საათზე.

სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებების წარმომადგენელთა ყრილობა

სოციალურ უზრუნველ-ყოფის სახალხო კომისარმა დაუგზავნა ყველა სამაზრო სოციალ-უზრუნ. ყოფის განყოფილებებს შემდეგი ცირკულიარი; 15 ნოემბერს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი თბილისში იწვევს ყველა თავის სამაზრო განყოფილებების წარმომადგენელთა ყრილობას. ყრილობის შესახებ მიღებულია შემდეგი დებულებები. წინადადებას გაძლევთ თქვენ მიიღოთ ეს სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად.

1. წარმომადგენლობა ყრილობაზე

1. ყრილობაზე გადამწყვეტის ხმის უფლებით ესწრებიან ყველა სამაზრო სოც. უზრ. ყოფის განყოფილების თითო წარმომადგენელი, სამი სოციალურ უზრუნველ ყოფის სახალხო კომისარიატიდგან და მისი კოლეგიის წევრები.

შენიშვნა: I. სახალხო კომისარიატის და სამაზრო სოც. უზრუნველყოფის განყოფილებებთა და აგრეთვე რაიონულ და სოც. უზრუნველ ყოფის პუნქტებიდან წარმომადგენლებს, გარეშე ამ ნორმებისა შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ყრილობაში ხოლოდ სათათბირო ხმით.

შენიშვნა: II. ყრილობაზე მოწვეულნი იქნებიან წარმომადგენლები: შრომის ჯანმრთელობის, სასურსათო მიწად მოქმედების კომისარიატებისა და სამხედრო კომისარი.

შენიშვნა: III. ყრილობის ყველა წარმომადგენლები უნდა აღჭურვილ იქნენ სათანადო მანდატებით მათ უფლებრივობის შესახებ.

2. დელეგატთა ყრილობის შესახებ

2. ყველა წარმომადგენლები უნდა მოვიდნენ ყრილობაზე დაუგვიანებლათ 15 ნოემბერს დილის ათი საათისათვის. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ბინაზე (მადათოვის ქ. 3. ოთახ. 12).

3. ყველა წარმომადგენლები აღჭურვილნი უნდა იყონ წერილობითი ანგარიშით. სტატისტიკური და სხვა ცნობებით, რომელნიც უფრო ნათლათ ახასიათებენ სამაზრო სოც. უზრუნველყოფის განყოფილების მოღვაწეობას.

3. ყრილობის ხანგრძლივობა.

ყრილობა გაგრძელდება არა უმეტეს სამი დღისა—15, 16 და 17 ნოემბერს, რომლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს ყრილობის მთელი დღიური წესრიგის განხილვა.

4. დელეგაციების ბინა-შენახვა.

5. ყრილობის დელეგატებმა (გადამწყვეტი ხმით) რომელნიც საჭიროებენ ბინას, უნდა განაცხადონ ადრე არა უგვიანეს 12 ნოემბრისა, წერილობით სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში და მაშინ მათ მიეცემათ ბინა.

6. დელეგატები ღებულობენ საგზალს ცალკე სამაზრო სოც. უზრუნველყოფის განყოფილებების ანგარიშზე. ხოლოდ მიეცემათ მათ სადილი უფასოთ კომისარიატის სასადილოდან.

6. ყრილობის დღიური წესრიგი.

7. ყრილობის დღიურ წესრიგში, რომელიც წარმოდგენილია კომისარიატის მიერ, დასმულია შემდეგი საკითხები:

1. კომისარიატის მოხსენება (ანგარიში) მისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. კომისარიატის სოციალურ უზრუნველყოფის პოლიტიკა.
4. საურთიერთო დახმარე კომიტეტების შესახებ.
5. პენსიები, ერთდროული დახმარებანი და წითელ არმიელის ულუფა.
6. სოც. უზრუნველყოფის დაწესებულებანი.
7. სოც. უზრუნველყოფის განყოფილებათა სამეურნეო და ფინანსიური მოქმედება.
8. საორგანიზაციო კითხვები, გაერთიანებული საქმის წარმოების, სტატისტიკის და ანგარიშის წარმოების შესახებ.
9. მიმდინარე საკითხები.

წინადადებას გაძლევთ ამ ცირკულიარის მიღებისთანავე დეპეშით გვაცნობოთ „ცირკულიარი ყრილობისა მიღებულია"—ხელმოწერა, სახელწოდება სამაზრო სოც. უზრუნველყოფის განყოფილებისა.

საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

ქ. გორი

კვირას 11 ოქტომბერს რუსეთის დამშეულთა გორის მოწყალეთა დამხმარე კომიტეტის მიერ, წითელი ახალგაზრდობის კლუბში, დამშეულთა სასარგებლოთ მოწყობილი ძალიან გამართული იქმნა დიდი საღამო. წარმოდგენილი იყო: „დაჭრილი ორბი" დრამა 1 მოქ. ს. ერთაწმინდელისა, „ჭკუისა მჭირს" კომედია ერთ მოქ. ა. ცაგარლისა და დასასრულს გაიმართა დივერტისმენტი. მომქმედმა პირებმა ღირსეულათ შეასრულეს თავისი როლები, რამაც საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავათ ცუდი ამინდისა საღამოს ხალხი ბევრი დაესწრო. ბილეთებიდან შემოსავალი იყო 598.000 მან., შემოწირულება ამხ. არ. მჭედლიშვილისაგან 50,000 მან., ბეჭდან საღამოს ხარჯების ჯამი შეადგენდა 60.000 მანეთს და ნაღდათ დარჩა სულ 588000 მანეთი, რომელიც გადაცემულია გორის მაზრის დამხმარე კომიტეტის განკარგულებაში, კუთვნილებისამებრ გადასაცემათ.

იასონი.

პარტიული ცხოვრება

ზემო გომი.

16 ოქტომბერს 1921 წ. შესდგა გომის სახალხო თეატრში კომჩეიკების რაიონული ყრილობა, დაესწრო 250 წევრი. თავმჯდომარეობდა ამხ. ბ. კიკნაძე, მდივნათ იყო ამხ. გ. მესხი. ყრილობა გაიხსნა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი, 2. გომის რაიკომის მოხსენება, 3. გლეხთა დახმარების კვირა, 4. კომჩეიკების მოვალეობანი, 5. მიწების კანონის განხილვა, 6. გომ. ს რაირევკომის მოხსენება, 7. სალიტერატურო პუნქტების მოწყობა, 8. 7 ნოემბრის დღესასწაულის მოწყობა.

1. მომენტზე მოხსენება გააკეთა გომის რაიონის პას. მგ. მდივანმა ამხ. ალ. ცაბაძემ, რომელმაც გააცნო ყრილობას რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის განვლილი ეტაპები და დღევანდელი საერთაშორისო ვითარება. ის შეეხო აგრეთვე ბურჟუაზიის რევოლიუციონურ როლს ფეოდალურ ეპოქებში და დაახასიათა თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითადი პრინციპები.

ამ საკითხზე ილაპარაკეს ამხ. ზ. გოგალაძემ, მიხა მულაძემ და სხვა ამხანაგებმა. ყრილობამ ერთხმად მიიღო მომენტზე ამხ. ცაბაძის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია, როგორც პროლეტარიატის თანამგზავრი ისტორიული მოსისხლე მტერი, და გაცილებით დღეს სოციალისტური რევოლიუციის ზვირთებით თავზარ დაცემული ყოველ ძალ ღონეს მოიკრებს და შეეცდება, „რომ თავიდან აიცილოს მოახლოვებული განკითხვის წუთები, ამ სიბედისწერო ბრძოლაში მათ გვერდში ამოუდგნენ სოციალიზმის გამყიდველი „სოციალისტები", და ბურჟუაზიისთან ერთად ცდილობენ ჩაახშონ კომუნიზმის ელვარე სხივები, მაგრამ მიუხედავათ ამ ავაზაკების მუხანათური განზრახვებისა და ყოველგვარი ბლოკადისა, მიუხედავათ ჩვენთვის აუწერელი ტანჯვისა და სიძნელისა, ჩვენ მაინც ღრმათ გვწამს, რომ თანამედროვე მსოფლიო რევოლიუცია დაამთავრებს ბურჟუაზიის სრულ განადგურებით და მუშათა კლასის სამარადისო გამარჯვებით".

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ცაბაძე, რომელიც აცნობს ყრილობას პარტკომის წარსულს და დღევანდელ მუშაობას და მიუდგომლათ აღნიშნავს ყოველგვარ დეფექტებს.

პარტკომის მუშაობაზე ყრილობამ დაადგინა: „მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებისა, და ზოგიერთ პირების მხრივ ხელის შეშლისა—სრულიად დამაკმაყოფილებელათ მიგვაჩნია პარტკომის მუშაობა და უსურვებთ მას შემდეგშიაც ნაყოფიერ მუშაობას".

გლეხთა დახმარების კვირის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ცაბაძემ. მან გააცნო ყრილობას ამ კვირის მნიშვნელობა და დაწვრილებით განუმარტა, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სოფლებში კომჩეიკებმა და რა მოვალეობა აწევთ მათ ამ საქმეში.

ყრილობამ დაადგინა: „ყველა სოფლის კომჩეიკა მოვალეა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ კვირის სასურველათ და ნაყოფიერათ ჩატარებას, და უმთავრესათ გამოარკვიონ რა და რა მასალა ესაჭიროება ამა თუ იმ სოფელს, ან რა არის გასაკეთებელი.

კომჩეიკების მოვალეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ცაბაძე. ის ფართოთ ეხება ამ საკითხს, და მოჰყავს ფაქტიური ცნობები ზოგიერთ კომჩეიკების დაუშვებელ მოქმედებიდან. მას მიუტევებლათ მიაჩნია იაჩეიკების ჩარევა ადმინისტრატიულ საქმეებში. ის აცნობს ყრილობას იაჩეიკების ნამდვილ მოვალეობას და ამოცანას.

ამ საკითხზედ ილაპარაკეს ამხ. მიხა მულაძემ, ნიკალა ნოზაძემ და სხვებმა, რომლებიც ადმინისტრაციის სისუსტით და გულგრილობით ასაბუთებენ კომჩეიკების ჩარევას ადმინისტრატიულ საქმეებში.

საპასუხო სიტყვაში ამხ. ცაბაძე აძლევს მათ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ იაჩეიკებმა, როდესაც უყურებენ ადმინისტრაციის გულგრილობას, ან პირიქით მოქმედებას.

კომჩეიკების მოვალეობის შესახებ ყრილობამ დაადგინა: „მიეცეს წინადადება ყველა კომჩეიკების წევრებს არ ჩაერიონ არავითარ ადმინისტრატიულ საქმეებში, არ იყოს მათ მიერ დატუსაღებული კაცი თუ, რასაკვირველია არ ხდება რაიმე იარაღით გამოსვლა კონტრ რევოლიუციონერების მხრივ, არ მოხდეს მათ მიერ არავითარი გაჩხრეკა და სხვა ასეთები. მათ ევალებათ აკეთონ წმინდა პარტიული, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ამ გვარი საქმეები ის პარტიის წევრი, ან მთლათ იაჩეიკა, რომელიც არ დაემორჩილება ამ დადგენილებას, იქნებიან გარიცხულნი პარტიიდან, ან მოხდება რეორგანიზაცია ახალი კომჩეიკების შედგენით".

მიწების საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცაბაძემ, რომელმაც აუხსნა ყრილობას ყოველივე გაუგებრობა მიწების საკითხში და მუხლობრივათ განუმარტა საბ. მთავრობის მიერ გამოცემული კანონი მიწ. შესახებ.

მიწების საკითხზედ ყრილობამ დაადგინა: მოვისმინეთ რა ამხ. ცაბაძის მოხსენება მიწების საკითხის შესახებ—ჩვენ აღფრთოვანებით ვეგებებით ჩვენი მთავრობის მიერ გამოცემულ მიწების კანონებს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ღარიბი გლეხების ინტერესებს, მაგრამ ჩვენ დაუშვებლათ მიგვაჩნია, ზოგიერთი პირების მოქმედება, რომლებით ბოროტათ იყენებენ მიწების კანონს და ატყუებენ შეუგნებელ გლეხებს, რის გამო ზოგიერთ სოფლებში კიდეც აკრიფეს ღალები, ახდენენ მიწების ჩამორთმევა გადაცემას ერთი გლეხიდან მეორეზე, ჰყიდიან მიწებს და სხვა ასეთები, რაც ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს. ამის გამო მოვითხოვთ ასეთი ელემენტების ალაგმვას.

გომის რაიონის რევკომის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ცხოვრებაშვილმა, მან გააცნო ყრილობას რევკომის მუშაობა როგორც წარსულში, ისე დღევანდელი.

რევკომის მუშაობაზე ყრილობამ დაადგინა: „საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია რევკომის მუშაობა, მაგრამ ემჩნევა ზოგიერთი სისუსტე, რისთვისაც ევალება ამხ. ცხოვრებაშვილს გააძლიეროს მუშაობა, და დააყენოს თავის სიმაღლეზე ქვემო-რევკომები".

სალიტერატურო პუნქტების მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ცაბაძემ, მან გააცნო ყრილობას ამ პუნქტების მნიშვნელობა, და აუცილებლად საჭიროთ დაინახა მოეწყოს გომის რაიონში სამ ადგილას სალიტერატურო პუნქტები: მოხისში, ალში, და წაღვლში.

ყრილობამ დაადგინა: ვინაიდან დიდ უხერხულ მდგომარეობას განიცდის პარტკომი, რადგან ვერ ახერხებს ყველა სოფლის კომჩეიკას მიაწოდოს თავის დროზე ლიტერატურა,—ამიტომ მოეწყოს სამ ადგილას სალიტერატურო პუნქტები: მოხისში, ალში და წაღვლში, საიდანაც დაურიგდება ლიტერატურა ყველა სოფლების იაჩეიკების ბიუროს. ყველა კომჩეიკები მოვალენი არიან დაიწყონ მორიგეობა ის პუნქტებში, რომელშიაც შედიან. 7 ნოემბრის დღესასწაულის მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ცაბაძემ, რომელმაც გააცნო ამ დღის მნიშვნელობა და მოუწოდა ამხანაგებს დღეიდანვე შეუდგენ მზადებას და სასახელოთ ჩაატარონ ეს დღესასწაული.

ყრილობამ დაადგინა: დღეიდანვე შეუდგენ მზადებას ამ დღესასწაულის სასურველათ ჩატარებისათვის.

ყრილობა დაიხურა საღამოს 6 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

კომც.ძე.

—

ქ. ზესტაფონი.

1921 წელს 21 ოქტომბერს შესდგა ზესტაფონის კომჩეიკის მორიგი კრება. კრება გახსნა სამაზრო პარტკომის მდივანმა ამხ. ან. ბუაჩიძემ.

მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ვაშაძემ „კომუნისტური პარტიის ისტორიაზე". მოხსენების დასრულების შემდეგ ყველა შეკითხვებზე მისცა შესაფერისი პასუხი და ამხანაგები კმაყოფილი დარჩნენ. კრება დაიხურა საღამოს 7 საათზე და ამხანაგები დაიშალნენ ინტერნაციონალის სიმღერით.

წარმოებიდან პროფკავშირებში

მედიკო-სანიტარული კავშირში.

შტატების დასამტკიცებლად კავშირთან დაარსებულია კომისია სააფთიაქო-სახალხო განყოფილების და შრომის დაცვის განყოფ. გამგეობის მონაწილეობით პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ფარმაც. ქვეგანყოფ. და განყოფილებას მოიწვიოს აფთიაქების გამგეთა კონფერენცია მედიკამენტების განაწილების საკითხის გასარჩევად.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

(ცნობებისთვის ანგარიში) სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ყრილობის მიერ არჩეულ ახალ გამგეობის პირველ სხდომაზე მოწყობილ იქმნა ყველა განყოფილებები ქვეგანყოფილებები და [illegible]. 12 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე პრეზიდიუმს ჰქონდა 12 სხდომა. გარჩეულ იქმნა 50 საკითხი, რომელთაგან 22 საორგანიზაციო საკითხია, როგორც მაგალითად, განყოფილებების შესაფერი გამგეების ამორჩევა. გამომუშავება შემოსავალი სამეურნეო გეგმისა საქართველოს მასშტაბით და სამუშაო დისციპლინის გაძლიერება ამ მიზნით, ამორჩეულია ერთი ამხანაგი, რომელიც პასუხისმგებელია შრომის დისციპლინისთვის კავშირის ეკონომიურ განყოფილების მინდობილი აქვს გამოიმუშაოს ტარიფი სპეკტაკლებისათვის, თეატრის შტატების შედგენა და სხვა. ამის გარდა სამმართველომ იშუამდგომლა ეკონომიური განყოფილების საშუალებით თეატრების დაწესებულებებიდან 35 პროც. კომუნალური გადასახადის მოხსნის შესახებ. სასურსათო საშუამავლოთ მივლინებულია ორი ამხანაგი. სპარსული დასი დათხოვნილ და შეერთებულ იქმნა თათრულ დრამატიულ დასთან. სამმართველოს საჭიროებისთვის გამიზნულია აწარმოოს თფილისის ერთ ერთი კინემატოგრაფის ექსპლოატაცია. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა გარჩეულ იქმნა აგრეთვე ტექნიკური საკითხები. ამ ჟამათ კავშირთან მოქმედობს ყველა განყოფილებანი.

ეკონომიური განყოფილება. დაწესებულია ნორმალური ურთიერთობა განათლების კომისარიატთან. გამომუშავებულია პროექტი ურთიერთობის დებულების შესახებ. განათლების კომისარიატის განყოფილებებთან, რომელნიც განაგებენ სახელოვნო საქმეს. პროექტი საფუძვლათ დაედო ცენტრალურ სამმართველოს პრეზიდიუმს და განათლების კომისარის შეერთებულ თათბირს, სადაც საკითხი ურთიერთობისა გადაწყვეტილ იქმნა იმით, რომ კავშირის წარმომადგენელი მუდმივ დაესწრობა ყველა სხდომებს და მონაწილეობას მიიღებს იმ ორგანოთა მუშაობაში, რომელიც ეხებიან ხელოვნებას. კავშირი აგრეთვე მონაწილეობს მათ მოწყობაში და ცალკე დაწესებულებების გამგებლობაში. ამ სათათბიროს გადაწყვეტილების თანახმად განყოფილებამ გამოჰყო წარმომადგენლები აკადემიური ცენტრის მთავარ სამხატვრო განყოფილებაში და პოლიტგანათლების სახელოვნო განყოფილებაში მისი სექციებით.

გამართულ იქმნა მოლაპარაკებანი სხვა და სხვა დრამატიული დასების წარმომადგენლებთან და განაწილებულ იქმნა მათ შორის დღეები და შენობები: თვითეულ დასს მიღებული აქვს შესაფერ თეატრში კვირაში 2-3 დღე. გამართული იქმნა აგრეთვე მთელი რიგი თათბირისა: თეატრის შტატების განსამტკიცებლად იმ მუსიკალურ სტუდიების წარმომადგენლებთან, რომელიც ამ ჟამათ ეწყობიან თფილისში და სხვა.

საორგანიზაციო ინსტრუქტორთა განყოფილება. ამ ჟამათ არ არსებობს კავშირი პროვინციასთან, რადგანაც განყოფილების მიერ არ არის გაგზავნილი ინსტრუქციები და ცირკულიარები. პროვინციასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად განყოფილება შეუდგა შრომის დისციპლინის ინსტრუქციების გამომუშავებას სამაზრო კონფერენციებისათვის. ქალაქის ფარგლებში მოწყობილია ადგილკომების ხელ ახალი არჩევნები და სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა კინო თეატრების ადგილკომების ხელ ახალი არჩევნებისათვის.

შრომის დაცვის განყოფილება. პირად დათვალიერების და ანკეტების გამომუშავების საშუალებით ადგილკომებს მიეცათ ინსტრუქციები და დარიგებანი, დეკრეტების დარღვევაზე საჩივრები არ ყოფილა, წარმოებებში ზედმეტი მუშაობა სწარმოებს საერთო წესით.

კულტურული განყოფილება. სწარმოებს საორგანიზაციო მუშაობა პროფ-ტექნიკურ განათლების სკოლის გახსნის შესახებ.

წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ გახსნილია ერთი სკოლა, რომელშიაც მეცადინეობს 14 მუშა. გახსნილია ორი სამკითხველო. ნაწილდება ყველა პერიოდიული გამოცემები.

შრომის ნორმირების განყოფილება. ტარიფი გატარებულია 37 წარმოებაში 1992 მუშისთვის. გადაწყვეტილია ოქტომბრიდან შემოღებულ იქმნას ხელოვნების მუშაკთა კოლექტიური მომარაგება, რისთვისაც სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა.

საკონფლიქტო ქვეგანყოფილება. გარჩეულია ორი კონფლიქტი მუშების სასარგებლოთ.

1- ოქტომბრისათვის წევრათ ითვლება 1337 კაცი.

თესვის კამპანია საქართველოში

ყოფილ რუსეთის სტატისტიკურ კომიტეტის ცნობებით, საქართველოში 1915 წ. ბათუმის და სოხუმის ოლქების გამოკლებით, ჭირნახულით (ანეულით, ახალთესლით და სიმინდით) იყო დათესილი 593 107 დესეტინა. მათში ანეულით 24,1 პროც. ახალ თესლით 27,7 პროც. და სიმინდით 48,2 პროც. 1915 წ. შემდეგ ნათესის სივრცე ყოველ წლიურად კლებულობდა. ამ შემცირების უმთავრესი მიზეზი იყო რუსეთ-ოსმალეთის ომი (1914 1918 წ.), შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის სომხეთთან, აზერბეიჯანთან, დენიკინთან და საბჭოთა რუსეთთან მომხდარი შეტაკებანი 1919 1921 წ. ამ შეტაკებების გამო სოფლის საუკეთესო მუშები მიდიოდნენ ფრონტზე და შემდეგში ამავე ფრონტებმა შთანთქეს თითქმის მთელი მუშა საქონელი. ამ ომების ლიკვიდაციის შემდეგ ძლიერ ცოტა გლეხები უბრუნდებოდნენ თავიანთ ყანებს და იმათაც, რომლებიც დაბრუნდნენ სოფლებში, ვერ შესძლეს მალე შესდგომოდნენ ცოტაოდენ ინტენსიურ მუშაობას. ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის უქონლობის გამო. მაგრამ მარტო ეს მიზეზები კი არ უწყობდნენ ხელს სათესი სივრცის შემცირებას, აგრეთვე კიდევ პერიოდიული კლიმატიური სიავენი, სტიქიური უბედურებანი, ცვარცვა, ნიაღვრები, მკაცრი ზამთარი და გვალვები. ყველა ეს ძირიანად სპობდა პურს. ჩამოთვლილ მიზეზების გარდა უარყოფით როლს თამაშობდა აგრეთვე ადგილებზე სასოფლო მეურნეობის იარაღებით აგრონომიული დახმარების არ ქონა, არ ქონება სათესის და საცდელ მინდვრებისა, შემდეგ დაშლა საოჯახო არხების და ბოლოს აგრარულ რეფორმის ხშირი ცვლა. ყველა ეს მიზეზები ძლიერ აბრკოლებდნენ მიწის მუშა გლეხის შრომას და ამას შედეგათ მოჰყვა თფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში სათეს სივრცის 56,419 დესეტინით შემცირება. ეს რაოდენობა 1921 წ. იმუქრებოდა კიდევ 30—40 პროც. შემცირებით. საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მიაქცია ასეთ მდგომარეობას ყურადღება და გამოიმუშავა ზომიერთა მთელი რიგი, თუ დაუთესაობის სრული ლიკვიდაციისა არა, ყოველ შემთხვევაში მისი ძლიერ შემცირებისა.

მთავრობის დადგენილებით მიმდინარე წლის 18 მარტიდან დაარსდა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან თესვის ცენტრალური კომისია (ცენტროთესვ) და 17 სამაზრო თესვის კომისია. მუშაობა დაიწყო აპრილის 1 რიცხვებში, რომელიც უნდა ჩაითვალოს დაგვიანებულათ. გადადებული იყო ერთი მილიარდი მანეთი სათესლეს შესასყიდათ. მიღებულმა ზომებმა მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო. მაგრამ გაზაფხულის თესვის კამპანია უკეთ ჩაივლიდა, რომ თესლის დამზადების შესდგომოდენ უფრო ადრე, რომ ყველა ორგანოებს, რომელთანაც ცენტრალურ თესვის კომისიას და მის ორგანოებს ჰქონდათ დამოკიდებულება, შეეგნოთ ცენტრალურ და სამაზრო თესვის კამპანიის დიდ მნიშვნელობა, რომ არ ყოფილიყო უწყებათა შორის შეუთანხმებლობა, აგრეთვე ის დაბრკოლებები, რომელსაც უქმნიდნენ ადგილობრივი ორგანოები. მუშაობის არა მცირე დაბრკოლებას წარმოადგენდა აგრეთვე ტრანსპორტის და ტელეგრაფის კავშირის უქონლობა, სამაზრო სათეს კომისიის დიდ უნარის უკუთვის აგრეთვე ის, რომ მათ ძლიერ შეუწყვეს ხელი ესესხებინათ გლეხებს თესლი ერთი მეორესათვის და ამით მოსპეს ის უნდობლობა, რომლითაც გლეხი ეპყრობოდა თავის გაჭირვებულ მეზობელს თხოვნის დროს. დაახლოვებით მცხოვრებთ დაურიგდათ სათესლე მასალა ახალ თესლის (უკეთესად სიმინდის) 66318,5 ფუთი და ამით დათესეს 20,894 ათასი დესეტინა და კომისიის დახმარებით—57,983 დესეტინა, სულ კი რესპუბლიკის ტერიტორიაზე 78,877,5 დესეტინა. გაზაფხულის თესვის კამპანია დასრულდა 1 ივლისს. ცენტრალურ და სამაზრო თესვის კომისიის აგენტებს ლიკვიდაცია უყვეს. ადგილებზე დატოვებულია მაშინად კომისიის მთავარი ძალები კამპანიის გატარებულ ანგარიშების საწარმოებლათ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 6.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებისადმი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილთა კომანდობისა და სამხედრო საბჭოს შემოქმედებითი ორგანიზაციონური მუშაობა,—ძლიერი კომუნისტური პოლკების შექმნისათვის ახალ სოციალისტურ საფუძველზე,—იღვა ვა დაუდევარი დამოკიდებულობით ცალკე კომანდირებისა, ნაწილთა უფროსებისა და პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა მხრითაც კი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილთა შედგენასა და ორგანიზაციასთან.

როდესაც წვრილ და დაცალ-ცალკევებულ პარტიზანთა რაზმებისაგან შეიქმნა მრავალ მილიონიანი წითელი არმია,—ეს ნამდვილი მეჭურა მთელი ქვეყნის იმპერიალისტებისათვის,—საჭირო გახდა ყველა სამხედრო მოსამსახურისათვის,—საერთო წესრიგის შემოღება, ცნობილი სამხედრო რკინის დისციპლინისა და მთელი რიგის სასტიკ სასჯელთა, რათა მოისპობილიყო ყოველგვარი გამოურკვევლობა, პარტიზანობა და კერძო შემთხვევები ბრძანების შეუსრულებლობისა.

განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა ახალ, მაგრამ ძლიერ ორგანიზაციას ესაჭიროება რაც შეიძლება, მტკიცე და მჭიდრო კავშირი, რკინის სამხედრო პარტიული დისციპლინა და წესრიგი, როგორც კომუნისტურ ნაწილთა მორიგ მებრძოლთათვის, ისე უმაღლეს საკომანდო შემადგენლობის პირთათვის.

სამწუხაროდ, განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა უფროსებს შორის ყველა ვერ მიხვედრია და ვერ წარმოუდგენია სახელდობრ დისციპლინის ზოგიერთი ძირითადი ჭეშმარიტება და სხვა და სხვა სეპარატიული გამოსვლით, განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა უმაღლეს საკომანდო შემადგენლობის ბრძანებისა და განკარგულების არა თავის დროზე ასრულებით, ამ ბრძანებათა აწონ-დაწონით, სხვა და სხვა დაწესებულებისა და პარტიულ ორგანიზაციისათვის თავის საქმეში ჩარევის ნების მიცემით, არღვევენ და ზარალობრივად აქვეითებენ კომუნისტურ ნაწილთა აღმშენებლობას და შეაქვთ დანაშაულებრივი არევ-დარევა განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა უმაღლესი შტაბის მიზანშეწონილ საერთო მუშაობის მსვლელობაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა სამხედრო საბჭო უბრძანებს ნაწილთა უფროსებს და სამაზრო სამხედრო საბჭოებს ადგილი არ ექნეს შემდეგში საქმიანობის რყევასა, თვითნებობასა და პარტიზანობას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა უმაღლეს კომანდობის ყოველი ბრძანება უნდა სრულდებოდეს დაუყონებლივ, უთქმელად და სისწორით და ამათი ცხოვრებაში გატარების შესახებ დაუყონებლივ უნდა მოხსენდეს ხოლმე ვისდამაც ჯერ არს. არ უნდა ექნეს ადგილი კერძო პირის, ორგანიზაციის და დაწესებულების—ვინც უნდა იყოს—სულ ერთია,—არავითარ ჩარევას ნაწილთა საორგანიზაციო ტექნიკურ მუშაობის მსვლელობაში და ყოველივე ცდა ამგვარი ჩარევისა ძირშივე უნდა მოისპოს.

დაბალ მოსამსახურე-კომუნისტების შედგენილობას და ნაწილთა მორიგ მებრძოლთ მოეთხოვოს სისწორით და დაუყონებლივ შესრულება ყოველი გაცემული ბრძანებისა და განკარგულებისა, რის აღსრულებაც პირადად უნდა იქნეს შემოწმებული.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა უფროსის ბრძანებით დაყენებული კომანდირები და უფროსები პასუხის მგებელნი არიან არა მარტო თავისთავისა, არამედ მათდამი რწმუნებულ ნაწილისათვისაც; მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დაუყონებელი შემოქმედებისა დამნაშავის მიმართ მთელი სისასტიკით დისციპლინარული სამსახურის წესდებისა, რომელიც მიღებულია მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება და გამეორდება ზემოდ აღნიშნული მოვლენანი, მიუღებელი და დანაშაულობრივი კომუნისტთა ჯარისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა კომანდა და სამხედრო საბჭო გამონახავს საკმარის საშუალებას სასტიკ სამხედრო კანონიერებისას, რათა აღმოფხვრას მავნებელი ელემენტი სახელოვან კომუნისტურ ჯარში და ამით აწიოს მაღლა კომუნისტური პარტიის უმწიკვლო დროშა განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილებში.

მუშათა სამეფოში, სადაც შრომა უნდა შეიქნეს ქვეყნის მეფედ, ალაგი არ აქვს დაუდევართ, გარეწართ და იმათ, ვისაც გამსჭვალული არა აქვს სული მტკიცე პარტიული დისციპლინით.

ყოველი დამნაშავე თავის რევოლიუციონურ კომუნისტურ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დაუყონებლივ დაისჯება. ეს უნდა ახსოვდეს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილთა ყოველ უფროსს და ყოველ მორიგ მებრძოლს კომუნარს.

ბრძანება წაკითხულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა ყოველ ათასეულში, გუნდში და მწყობრში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილთა უფროსი **ხუტუდაშვილი.**

სამხედრო საბჭო **მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ვ. დონენკო, ბ. წივწივაძე.**

შტაბის უფროსი **ხამთილოვი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩუბინაშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტური კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მარკების ნიმუშების დამზადებაზე დანიშნულ კონკურსის ვადა გაგრძელებულია 20 ნოემბრამდე 1921 წლისა.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

პარტიული

ოთხშაბათს, 2 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბის საზამთრო შენობაში (ოლღის ქუჩა № 3). შესდგება კომპარტიის მე-4 რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1) მუშათა კოოპერაცია—მომხს. ამხ. ერქომაიშვილი, 2) ოქტომბრის რევოლიუციის შედეგები—მომხს. ამხ. ლისოვსკი, 3) მიმდინარე საკითხები.

ტირაჟი 10.000 [illegible]

[illegible]